სერგი ბულგაკოვი – პიროვნება და თეოლოგი

გურამ ლურსმანაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აფილირებული ასისტენტი, თანამედროვე მართლმადიდებლური თეოლოგიისა და პოლიტიკური თეოლოგიის ლექტორი, g.lursmanashvili@sabauni.edu.ge, https://orcid.org/0000-0001-6906-8503

„[სერგი ბულგაკოვის] დაბადებიდან ასი წლისთავი, რომელიც 1971 წელს შეუსრულდა, ჩვენში არ აღუნიშნავთ. იმედი ვიქონიოთ, რომ მომდევნო თაობები გამოასწორებენ ამ დიდ შეცდომას და მის ღვაწლსა და დამსახურებას სათანადოდ შეაფასებენ“ ალექსანდრე მენი.

ბიოგრაფია

სერგი ბულგაკოვი დაიბადა 1871 წელს რუსეთში, ქალაქ ლივნიში, მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში, ამიტომაც ამბობდა იგი, რომ მის ძარღვებში ექვსი თაობის ლევიტელის სისხლი სჩქეფდა.[1] პირველდაწყებითი განათლება ადგილობრივ საეკლესიო სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც ორიოლის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა. ამ პერიოდში მას ეგზისტენციალური კრიზისი დაეწყო, 1888 წელს მიატოვა სემინარია და ელეცკის გიმნაზიაში გადავიდა, ხოლო 1890 წელს კი, მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა.[2] ბულგაკოვის მიხედვით, ეგზისტენციალური კრიზისიდან და რუსული რევოლუციის თანმდევი

[1] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 3-22, აქ 3.

[2] Andrew Louth, Modern Orthodox Thinkers, From the Philokalia to present, Society for Promoting Christian Knowledge, London 2015, 43.

ნიჰილიზმისგან იგი ხელოვნებისა და ლიტერატურის სიყვარულმა იხსნა.[3] როგორც იგი იხსენებს: „მე უკვე 24 წლის ვიყავი, მაგრამ თითქმის ათი წელი იქნებოდა, რაც ჩემს სულში შერყეული იყო რწმენა და ბობოქარი კრიზისებისა და ეჭვიანობის შემდეგ მასში რელიგიუმა სიცარიელემ დაისადგურა. სულმა რელიგიური განგაშის დავიწყება დაიწყო და თვით ეჭვიანობის შესაძლებლობაც კი გაქრა და ნათელი ბავშვობიდან მხოლოდ პოეტური ზმანებანი, მოგონებათა ნაზი კვამლი დარჩა, რომელიც ყოველთვის მზად იყო გასაქრობად.“[4] ამ ძიების პროცესში, იგი დაინტერესდა მარქსიზმის სწავლებით და მისი მიმდევარიც გახდა, რისი დამსახურებითაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ იგი გერმანიაში გაუშვა, რათა იქ, ადგილზე შეესწავლა იმ პერიოდის ძალიან პოპულარული მიმდინარეობა და იდეოლოგია. როგორც თავად იხსენებს, გერმანიაში ყოფნის დროს, იმის ნაცვლად, რომ ახალი იმედები ჩასახოდა და მომავლისთვის პოზიტიურად შეეხედა, პირიქით, მასში იმედგაცრუებამ დაისადგურა.[5]

1897 წელს ბულგაკოვი *მოსკოვის ფსიქოლოგიურ საზოგადოებას* შეუერთდა. ბულგაკოვმა 1900 წელს სამაგისტრო ნაშრომი დაიცვა სახელწოდებით: „კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება“, ხოლო მოგვიანებით კი დისერტაცია: „ბაზრების შესახებ კაპიტალისტური წარმოების პირობებში“. როგორც ალექსანდრე მენი იხსენებს: „რაც უფრო მეტად ცდილობდა იგი [ბულგაკოვი] მარქსიზმის მართებულობის მტკიცებას, მით უფრო რწმუნდებოდა ამ კონცეფციის განყენებულობასა და ხელოვნურობაში [...].“[6] სა-

[3] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 4.

[4] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 169.

[5] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes. in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 5.

[6] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 168.

ბოლოოდ, მან მიატოვა მარქსიზმი და იდეალიზმის ფილოსოფიურ მიმდინარეობაში გადავიდა.[7]

ბულგაკოვი თავდაპირველად კიევის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლიდა პოლიტიკურ ეკონომიკას, მოგვინებით, 1906 წელს კი მოსკოვის უნივერსიტეტში გადაინაცვლა. ამ პერიოდში მან დაწერა წიგნი „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია", რომელიც ძველი აღთქმიდან, ბიბლიური წინასწარმეტყველებიდან და აპოკალიპტიკებიდან იწყება. მან აჩვენა, რომ ბიბლია შეიცავს საზოგადოების გარდაქმნის პირველ საფუძვლებს, რომლებიც მყარად უკავშირდება ყოფიერების სულიერ ასპექტებს."[8] ბულგაკოვი მეორე დუმის „ქრისტიან-სოციალისტ" დამოუკიდებელ წევრადაც აირჩიეს, თუმცა ამ პარლამენტმა მოლოდინები ვერ გაამართლა, რამაც ბულგაკოვს მნიშვნელოვანი დაღი დაასვა. იგი გაემიჯნა პოლიტიკას და უფრო მეტად კონსერვატიული ხედვების ერთგული გახდა.[9]

1905-1906 წლებში რუსეთი პოლიტიკურმა მღელვარებამ მოიცვა, რაშიც, თავის მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიაც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებში ბულგაკოვი ჩართული იყო როგორც ინტელექტუალი და არა როგორც ეკლესიური ადამიანი. ამგვარი მიდგომა თავად ეკლესიის მესვეურთათვისაც მისაღები იყო, უფრო მეტიც, პატრიარქმა ტიხონმა ბულგაკოვს პირდაპირ უთხრა – „სერგი ნიკოლოზის ძევ, თქვენ სერთუკში უფრო გვჭირდებით".[10] მართლაც, ბულგაკოვი „მხოლოდ 1907 წელს დაუბრუნდა მართლმადიდებლობის საკრამენტალურ ცხოვრებას".[11]

---

[7] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 237.

[8] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 175.

[9] Regula M . Zwahlen, Sergei Bulgakov's Intellectual Journey (1900-1922), in: The Oxford Handbook of Russian Religious Thought, ed. by Caryl Emerson, George Pattison, Randall Poole (Oxford University Press, 2020), 276 – 292, აქ 282.

[10] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 176.

[11] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox

როგორც იხსენებს, სოციოლოგიდან იგი თეოლოგი გახდა, რის გავლენადაც დოსტოევსკისა და სოლოვიევს ასახელებს. ბულგაკოვს არა მხოლოდ რთული კარიერული და მსოფლმხედველობითი გზა ხვდა წილად, არამედ ოჯახურ ცხოვრებაშიც არაერთი სერიოზული დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. იგი 26 წლის ასაკში, ელენა ივანეს ასულ ტოკმაკოვაზე დაქორწინდა. წყვილს სამი შვილი ჰყავდა – მარია, ფიოდორი და ივანი. ეს უკანასკნელი 1909 წელს, მცირეწლოვანი გარდაიცვალა.[12]

თუ გავითვალისწინებთ რუსეთის იმპერიაში ბულგაკოვის ცხოვრების ეპოქას, გასაკვირი არ იქნება იმის აღნიშვნაც თუ როგორი **ნაციონალურ** ხედვები ჩამოუყალიბდა მას. ბულგაკოვს ღრმად სწამდა, რომ თითოეულ ერს თავისი მისია ჰქონდა. იგი დიდად აფასებდა ევროპულ კულტურას, რომლის რელიგიური ფესვებიც შუა საუკუნეებსა და რეფორმაციას ემყარებოდა, თუმცა, იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ რუსეთს თავისი სულიერი მემკვიდრეობა ჰქონდა, რომლის გააზრებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო. რუსული მისია კი, მისი აზრით, იყო ევროპის ქრისტიანულ ფესვებთან დაბრუნების იდეა, რაც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდებოდა მართლმადიდებლობას.[13] ბულგაკოვის ტექსტიდან – „ჰეროიზმი და თავმდაბლობა“ ცხადი ხდება, რომ იგი „უფრო სკეპტიკული გახდა თავისი თანამედროვე კულტურისადმი და უფრო დადებითად განეწყო საეკლესიო ქრისტიანობისადმი. როდესაც ბულგაკოვმა „ჰეროიზმი და თავმდაბლობა“ დაასრულა მოწოდებით, რომ რუსეთში „საეკლესიო ინტელიგენცია“ უნდა ჩამოყალიბებულიყო, იგი გულიხმობდა რაღაც უფრო მეტს, ვიდრე

Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 242.

[12] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 250.

[13] Regula M . Zwahlen, Sergei Bulgakov's Intellectual Journey (1900-1922), in: The Oxford Handbook of Russian Religious Thought, ed. by Caryl Emerson, George Pattison, Randall Poole (Oxford University Press, 2020), 288.

ეს ბუნდოვანი ინტელიგენცია შეიძლებოდა ყოფილიყო.“[14] უფრო მეტიც, იგი პირდაპირ ამბობდა, რომ „რუსეთი ვერ განახლდება თუკი ჯერ მისი ინტელიგენცია არ განახლდება [...] ეს ამოცანა უპირველესად თვითკრიტიკას მოითხოვს.“[15] ამ საკითხზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ XIX საუკუნის რუსეთში სხვებისგან გამორჩეული ორი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა, შესაბამისად – სლავიანოფილებისა და ე.წ. მედასავლეთეების (ზაპადნიკების). სლავიანოფილებს „მიაჩნდათ, რომ ჭეშმარიტების ინტუიციური, სიღრმისეული და არარაციონალური მიღწევა მხოლოდ სლავიანურ კულტურაშია შესაძლებელი. ისინი სლავიანურ ხალხთა განსაკუთრებულ ფილოსოფიას ქმნიან, რომელსაც ძველ დროში ეძებენ [...]. საწინააღმდეგო მოსაზრებები და პოზიცია ჰქონდათ ზაპადნიკებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ რუსეთი ევროპის ნაწილია. ისინი ორიენტირებულები იყვნენ პროგრესზე, განათლებაზე, მეცნიერებასა და ტექნიკაზე [...].“[16] სოლოვიევი ამ ორი განსხვავებული მიმდინარეობის ერთმანეთთან შეკავშირებას ცდილობდა. ბულგაკოვიც, მიჰყვებოდა რა სოლოვიევის მცდელობებს, აცხადებდა, რომ უნივერსალური ეკლესია ყველა ხალხს განსხვავებული ენით ესაუბრება. შესაბამისად, ე.წ. „ნაციონალური რელიგიები“ ლეგიტიმური ინდივიდუალური ფორმები არიან, რომელიც უნივერსალური ჭეშმარიტების მიღებას მიემართება. ბულგაკოვისთვის მართლმადიდებლური სარწმუნოება იყო ის გასაღები, რომელიც რუსეთის, როგორც ერის მოწმობას აღებდა. უფრო მეტიც, პირველი მსოფლიო ომის დროს ბულგაკოვი ცხადად საუბრობდა, ასევე, სულიერ ბრძოლაზეც, რომელშიც რუსეთს „გერმანიზმის“

[14] ‘Geroizm i podvizhnichestvo,’ p. 67, in: Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 249-250.

[15] ‘Geroizm i podvizhnichestvo,’ pp. 24-7. 245, in: Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 245.

[16] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 26-29.

წინააღმდეგ უნდა გაემარჯვა, რათა ამგვარად გადარჩენილიყო ქრისტიანული ევროპის სულიერი ორგანიზმი. თუმცა, როგორც ბულგაკოვი ერთგან შენიშნავს, „რუსეთმა უღალატა თავის ამ მოწოდებას და დაეცა. „ თუმცა, იგი ჰგავს იუდას, რომელმაც, იმის მიუხედავად, რომ უფალს უღალატა, მაინც აღსდგება საფლავიდან იესოსთან ერთად.[17] აღსანიშნავია ისიც, რომ ბულგაკოვის აზრით, მეცნიერებას არ შეუძლია დაასაბუთოს, რომ სამყარო დადებითი კუთხით ვითარდება, „უფრო მეტიც, ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ კაცობრიობა უსასრულოდ ბრუნავდა წრის გარშემო: დემოკრატიიდან – ტირანიისაკენ, ტირანიიდან – ოლიგარქიისაკენ და შემდეგ კვლავ დესპოტის გავლით, დემოკრატიისაკენ.“[18]

იმის მიუხედავად, რომ როგორც ტრუბეცკოი შენიშნავდა, ბულგაკოვი „ანაფორით დაიბადა“,[19] იგი მხოლოდ 1918 წლის ივნისში, დანილოვოს მონასტერში ეკურთხა მღვდლად. მას არ შეეძლო იმ პარადიგმაში ჩამჯდარიყო, რომელსაც რუსეთის იმპერიაში გამეფებული კეისარო-პაპიზმი ავალდებულებდა სასულიერო პირს. ბულგაკოვისთვის ეს ქრისტიანობისთვის არაბუნებრივი და შეუფერებელი ხუნდი 1917 წელს, რევოლუციით მოირღვა, რამაც განაპირობა, რომ 1918 წელს იგი უკვე არა პრიორიტეტულ და პრეროგატივებით სავსე, არამედ დევნილ და სახელმწიფოსგან მოძულებულ ეკლესიაში გახდა მღვდელი.[20] მის ქიროტონიას იმ პერიოდის რუსე-

[17] Bulgakov, S. N. (1986), ‘At the Feast of the Gods’, in: Out of the Depths (De Profundis): A Collection of Articles on the Russian Revolution, ed. W. Woehrlin. Irvine, CA: Charles Schlacks Jr., Publisher, 65 – 118. 288. Regula M . Zwahlen, Sergei Bulgakov's Intellectual Journey (1900-1922), in: The Oxford Handbook of Russian Religious Thought, ed. by Caryl Emerson, George Pattison, Randall Poole (Oxford University Press, 2020), 288.

[18] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 171.

[19] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 6.

[20] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 7.

თის (და არა მხოლოდ) ისეთი გამორჩეული ინტელექტუალები ესწრებოდნენ, როგორებიც იყვნენ: პავლე ფლორენსკი, ნიკოლაი ბერდიაევი, ევგენი ტრუბეცკოი და სხვები.[21] ხელდასხმიდან ძალიან მალე, პატრიარქ ტიხონის ლოცვა-კურთხევით, იგი ყირიმში გადავიდა, სადაც თავისი ოჯახი იმყოფებოდა. ამ მომენტიდან მოყოლებული, იგი მოსკოვში ვეღარ დაბრუნდა. რევოლუციის შემდეგ მან სიმფეროპოლის საღვთისმეტყველო სკოლაში დაიწყო სწავლება, თუმცა მალევე, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ იგი გაძევებულ იქნა ქვეყნიდან და ოჯახთან ერთად, 1923 წლის დასაწყისში ემიგრაციაში წავიდა.

ემიგრაცია

ბულგაკოვი იმ ინტელექტუალთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომლებმაც 1922-1923 წლებში რუსეთი დატოვეს და მასაც, სხვების მსგავსად, რუსეთში დაბრუნება აეკრძალა „რუსეთმა მე, როგორც უვარგისი, ისე გამრიყა და მონის ნიშნით დამდაღა.“[22] რუსეთიდან ემიგრირებული ბულგაკოვი სტამბოლში ჩავიდა, სადაც პირველად იხილა საკუთარი თვალით აია-სოფიას ტაძარი. იგი გაოცდა და უწოდა მას ბიზანტიის ელინური გენიის მიერ ნათელღებული პლატონი. ბულგაკოვის აზრით, პლატონის წარმართული სოფია სარკისებრადაა არეკლილი ქრისტიანულ სოფიაში, ღვთაებრივ სიბრძნეში. იგი არც ზეცაა და არც მიწა, არამედ მიწის ზემოთ ზეცის მიერ შეკრული კამარა.[23]

---

[21] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 8.

[22] S. Bulgakov, „Iz dnevnika,” in Tikhie dumy (Moscow: Respublika, 1996), 351, in: Paul L. Gavrilyuk, *Georges Florovsky and the Russian Religious Renaissance* (Oxford: Oxford University Press, 2014),47

[23] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 13-14.

ალექსანდრე მენი ბულგაკოვის შესახებ წაკითხულ ლექციაში ამ უკანასკნელის დღიურების ჩანაწერს იხსენებს, რომელიც სწორედ რომ ემიგრაციაში ახლადფეხშედმული ავტორის ნააზრევია: „ბულგაკოვს დღიურში უწერია, რომ აღმოსავლეთი იღუპება და თავისი ძალა ეკლესიას შენარჩუნებული აქვს დასავლეთში. იგი კათოლიკურ იურისდიქციაში შესვლის ზრვარზე იმყოფება, მაგრამ შემდეგში მასში მაინც ეკლესიისადმი რწმენა და ერთგულება იმარჯვებს: არა, ეკლესია კატასტროფულ კრიზისშია, მაგრამ აღმოსავლეთში იგი ჯერ არ დაღუპულა. ამ რწმენით მიჰყვება იგი თავის გზას დასავლეთ ევროპაში.“[24] როგორც იგი წერს, საეპისკოპოსო კარიერის გამო სამონასტრო აღთქმების დადება არის თავისი მშობლიური საეკლესიო სისტემის ყველაზე მტკივნელი მახასიათებელი, რაც დროის გასვლასთან ერთად, უფრო ხილული ხდება.[25] ბულგაკოვს საკმაოდ საინტერესო ხედვები და წარმოდგენები ჰქონდა, როგორც თავისი პერიოდის, ასევე, შემდგომი ეპოქის ეკლესიის შესახებ, თუმცა, იგი ცდილობდა რეალობას არ მოწყვეტილიყო და ნათლად აცნობიერებდა, რომ თავისი წინასწარმეტყველური იმედების რეალობად ქცევას სიცოცხლეში ვერ მოესწრებოდა, რასაც მშვიდად იღებდა.[26]

ბულგაკოვი თავდაპირველად პრაღაში დასახლდა, სადაც თავისი მეგობრის – პაველ ნოვგოროდცევის მიერ ორგანიზებულ ინსტიტუტში საეკლესიო სამართალს ასწავლიდა, ხოლო 1925 წლის გაზაფხულზე კი ოჯახთან ერთად პარიზში გადავიდა, სადაც წმინდა სერგის მართლმადიდებლურ თეოლოგიურ ინსტიტუტში დოგმატური ღვთისმეტყველების სწავლება დაიწყო.[27] „თანამედროვე

[24] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 177.
[25] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 16.
[26] Sergius Bulgakov, Autobiographical Notes, in: James Pain, Nicolas Zernov (eds.), Sergius Bulgakov, A Bulgakov Anthology, The Westminster Press, Philadelphia 1976, 20-21.
[27] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Ortho-

ენების ბრწყინვალე ცოდნა ბულგაკოვის საშუალებას აძლევდა, რომ საფრანგეთში, გერმანიასა თუ ანგლო-საქსონურ სამაროში თავი საკუთარ სახლში ეგრძნო."[28] გარდა ინტელექტუალური ცოდნისა, მისი პიროვნული თვისებებიც დიდ მოწონებას იმსახურებდა მის გარშემო მყოფებში. როგორც მიტროპოლიტი ევლოგი (გეორგიევსკი) იხსენებს, წმ. სერგის ინსტიტუტში მოღვაწეობისას, ბულგაკოვი სტუდენტების სულიერი მრჩეველი, მეგობარი და განუზომელი ავტორიტეტის მატარებელი გახდა.[29]

1934 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბულგაკოვი ნიუ იორკში ჩავიდა, სადაც დეკემბრის დასაწყისამდე დარჩა. ამერიკაში იგი ეპისკოპალური ეკლესიის ღონისძიებებში მონაწილეობდა და განცვიფრებულიც იყო მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან მათი დამოკიდებულებით. ამასთანავე, ბულგაკოვზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გულთბილმა დამოკიდებულებამ, რომლითაც იგი ამერიკაში მიიღეს.[30]

ბულგაკოვის თეოლოგიური მემკვიდრეობა საკმაოდ მოცულობითია და მასზე არაერთი კუთხით საუბრობენ ხოლმე. მის ნაშრომებზე საუბრისას, პირობითად, ორ ტრილოგიას განარჩევენ, შესაბამისად – „მცირე" და „მთავარ" ტრილოგიებს. მცირეში ბულგაკოვის შემდეგი ნაშრომები შედის: „მაყვალი შეუწველი" (The Burning Bush, 1927), „სასიძოს მეგობარი" (The Friend of the Bridegroom 1927) და „იაკობის კიბე" (Jacob's Ladder 1929). პირველ ტრილოგიაში ბულგაკოვი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, თუ რა ონტოლოგიური დანიშნულება აქვთ ღვთისმშობელს, იოანე ნათლისმცემელსა და ანგელოზებს

dox Theology in a New Key. William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 278- 279.

[28] Donald Alexander Lowrie, Saint Sergius in Paris: the Orthodox Theological Institute, New York 1954, 64.

[29] Donald Alexander Lowrie, Saint Sergius in Paris: the Orthodox Theological Institute, New York 1954, 64.

[30] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key. William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 285.

ქრისტეს განკაცების გასაგებად.[31] რაც შეეხება ბულგაკოვის მეორე, მთავარ ტრილოგიას, რომელსაც ღმერთკაცებრიობა (On Godmanhood) ეწოდება. ტრილოგიის პირველი ნაწილი – *ტარიგი ღვთისა* (The Lamb of God) 1933 წელს გამოიცა და იგი ქრისტოლოგიას მიემართება. მეორე ნაწილი – *ნუგეშინისმცემელი* (The Comforter) 1936 წელს გამოიცა და პნევმატოლოგიის თემებს ეხება, ხოლო დასკვნითი ნაწილი *სასძლო კრავისა* (The Bride of the Lamb), კი 1945 წელს, ბულგაკოვის სიკვდილის შემდეგ გამოიცა და იგი ეკლესიოლოგიისა და ესქატოლოგიის თემებს მიემართება.[32]

მამა სერგი ბულგაკოვი 1944 წელს სიმსივნით გარდაიცვალა.

თეოლოგია

ბულგაკოვისა და ზოგადად, მეოცე საუკუნის მართლმადიდებლური თეოლოგიის გასაგებად, ძალიან მნიშვნელოვანია **სოფიოლოგიური** დავების კარგად გააზრება. ამ თემაზე საუბარი ე.წ. სახელის-მადიდებელთა (რუს. Имяславие) ერესიდან უნდა დავიწყოთ. მეოცე საუკუნეში, სქემმონაზონმა ილარიონ დომრაჩევმა, თავის წიგნში „კავკასიის მთებში“ დაწერა იესოს ლოცვის სულიერი გამოცდილების შესახებ და განაცხადა: „ყველამ უნდა გაიგოს, რომ შეუძლებელია უფალ იესო ქრისტეს სახელის განშორება მისი კურთხეული პიროვნებისგან.“[33] ამ წიგნის პოპულარობა ბერებში (და, განსაკუთრებით, ათონელ ბერებში) ძალიან გაიზარდა. ბერები პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ ისინი გრიგოლ პალამას თეოლოგიას მიჰყვებოდნენ. სტოიან ტანევი მართებულად შენიშნავს,

[31] Robert F. Slesinski, Sergius Bulgakov in Exile: The Flowering of a Systematic Theologian. The Oxford Handbook of Russian Religious Thought, Caryl Emerson (ed.), Oxford 2020, 480-494, აქ 482.

[32] Robert F. Slesinski, Sergius Bulgakov in Exile: The Flowering of a Systematic Theologian. The Oxford Handbook of Russian Religious Thought, Caryl Emerson (ed.), Oxford 2020, 483.

[33] Monk Illarion, *In the Mountains of the Caucasus,* 57-58, in: Lasha Tchantouridzé, „In the Name of God: 100 Years of the Imiaslavie Movement in the Church of Russia,” *The Canadian Journal of Orthodox Christianity,* Volume VII, Number 3 (2012), 216-227, აქ 223.

რომ ბულგაკოვმა „ძალიან სისტემური დოგმატური თავსატეხი გააჩინა, როდესაც სახელის-მადიდებელთა დასაცავად შეეცადა, რომ გრიგოლ პალამას თეოლოგია მთლიანად სოფიოლოგიური პერსპექტივიდან წაეკითხა.“[34]

სიბრძნესთან (ბერძნ. სოფია) დაკავშირებით განვითარებულ მოძღვრებასთან დაკავშირებით, უმთავრესად სამი გამოჩენილი რუსი რელიგიური მოაზროვნე უნდა გამოვყოთ. ესენია: ვლადიმერ სოლოვიოვი (1853-1900), პავლე ფლორენსკი (1882-1937) და სერგი ბულგაკოვი (1871-1944). საეკლესიო სწავლების მიხედვით, ღვთის სიბრძნე არის გაიგივებული ღვთის ძესთან. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „ჩვენ კი ჯვარცმულ ქრისტეს ვქადაგებთ [...] ქრისტეს, ღვთის ძალას და სიბრძნეს“ (1 კორ. 1: 23-24). ამ ტრიადასთვის, სოფია სამების მეორე ჰიპოსტასთან, ე.ი. ქრისტესთან კი არ ასოცირდება, არამედ იგი კვაზი-პიროვნული მყოფობაა.[35] „ბულგაკოვისთვის სოფია/სიბრძნე არის გარკვეული ხიდი, ღმერთსა და კაცობრიობას/შესაქმეს შორის. [...] სოფია, ესაა სახე, რომლითაც ღმერთი ტრიალდება შესაქმისკენ და შესაქმე, კაცობრიობის მეშვეობით, ტრიალდება ღვთისკენ. შესაქმე არაა ღვთის მიერ მიტოვებული.“[36] ბულგაკოვს, სხვათა მსგავსად სჯეროდა, რომ წმინდა სამების მესამე ჰიპოსტასსაც ისევე ესაჭიროებოდა განხორციელება, როგორც ეს ძე ღმერთის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ ე.წ. „მესამე სახარების“ მხარდამჭერთაგან განსხვავებით, იგი დარწმუნებული იყო, რომ ამგვარი გამოცხადება ახალ აღთქმაში უკვე აღიწერა და იგი ღვთისმშობელ მარიამს მიემართებოდა (რომელიც სახარების დასაწყისიდან დასასრულამდე განუყოფლა-

[34] Stoyan Tanev, „Energeia vs Sophia. The contribution of Fr. Georges Florovsky to the rediscovery of the Orthodox teaching on the distinction between the Divine essence and energies,” International Journal of Orthodox Theology, 2(1), 15-71, აქ 25.

[35] Klimoff, Alexis, On the Sophiological Controversy of the 1930s, <https://www.rocorstudies.org/2019/09/03/georges-florovsky-and-the-sophiological-controversy/> [05.07.2024].

[36] Andrew Louth, Modern Orthodox Thinkers, From the Philokalia to present, Society for Promoting Christian Knowledge, London 2015, 58.

დაა სულიწმინდასთან დაკავშირებული) და მომავალში აღარ მოხ-დებოდა.[37] ბულგაკოვის აზრით, მამა თავის თავს უცხადებს არა პირდაპირ მსოფლიოს, არამედ ძეს და სულიწმინდას, ხოლო ძე და სულიწმინდა კი არიან გამოცხადებითი ან „სოფიანური“ ჰიპოსტა-სები, რომლებიც საკუთარ თავს უცხადებენ მსოფლიოს და ამით მამის ნებას გამოხატავენ.[38]

სოფიასთან დაკავშირებით ბულგაკოვმა უარყო, ერთი მხრივ, სოლოვიოვის არაჯანსაღი გნოსტიკური ტენდენცია (რომელიც წინაარსებულ მატერიას მიემართებოდა), მეორე მხრივ კი ფლო-რენსკის იდეა, რომლის თანახმადაც სამყარო მხოლოდ თეორი-ული პროექტი იყო. ბულგაკოვის აზრით, ქრისტიანული სარწმუ-ნოება იმ ნაკვალევის გამომზეურებას მიემართებოდა, რომელიც შესაქმეშია აღწერილი.[39] *ეკონომიკის ფილოსოფიაში* ბულგაკოვი ცდილობს, რომ ღმერთსა და სამყაროს შორის ხიდი გამოყოს, რა გამიზნულებითაც იგი ერთმანეთისგან განარჩევს „ზეციურ“ და „ქმნილ“ სოფიას. *მიუაჩრდილებელ ნათელში* იგი იცავს სოფიას მთლიანობას და წარმოადგენს მას, როგორც ღვთაებრივი ცხო-ვრების განუყოფელ „მეოთხე ჰიპოსტასს“, ღვთაებრიობის *ad extra* გამოხატულებას, რომელიც სამების გარეთ დგას და შესაქმეს უყურებს. იგი სოფიას სამების სივრცეში განიხილავს. ბულგაკოვი მართალია არ ამტკიცებს, რომ სოფია აბსოლუტია ან ღმერთია, თუმცა მის „უქმნელობას“ კი იცავს და ამბობს, რომ სოფია დროსა და უსასრულობას შორის არსებობს.[40] თუმცა, აქ ერთი დეტალია,

[37] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 303-304.

[38] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 330.

[39] Regula M . Zwahlen, Sergei Bulgakov's Intellectual Journey (1900-1922), in: The Oxford Handbook of Russian Religious Thought, ed. by Caryl Emerson, George Pattison, Randall Poole (Oxford University Press, 2020), 286.

[40] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key. William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 271.

რომელიც ბულგაკოვის **კოსმოლოგიაზე** საუბრისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს. სამყაროს არაფრისგან (ex nihilo) შექმნის საპირისპიროდ, თეოლოგს სჯერა, რომ ადამიანები საღვთო საწყისისგან შეიქმნენ, რაც ქმნილი სოფიაა. მისი აზრით, სოფია აწ უკვე ბოძებული პოტენციალია, სამყაროს ენტელეხიაა და შესაბამისად, იგი თავისუფლებისა და აუცილებლობის ადამიანური გამოცდილების მამოძრავებელი ძალაა. ბულგაკოვს სჯერა, რომ ღვთის ხატად შექმნილი ადამიანი მუდამ აბსოლუტურ შემოქმედობითობას ესწრაფვის, თუმცა ადამიანის არცერთი შემოქმედებითი აქტი, თავისთავად, არაა ამომწურავი. ამ მოცემულობას ორი განზომილება აქვს, პირველი ის, რომ შემოქმედობითობის დასუსტება შეუძლებელია, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ იგი არ შეიძლება ოდესმე განსრულდეს და დამაკმაყოფილებელი იყოს. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანი დაეცა, მისი შემოქმედებითობა ხშირად ტრაგედიითაა დაღდასმული.[41] ალექსანდრე მენი, ბულგაკოვის სოფიოლოგიაზე საუბრისას ხაზგასმით ამბობს, რომ ამ უკანასკნელის აზრით: „სამყაროს შექმნას თავის საფუძვლად რაღაც სულიერი საწყისი უნდა ჰქონდეს: ღმერთმა შექმნა სამყაროს სული, რომელიც თვით ღვთაებრივ საწყისთანაა მჭიდრო კავშირში. იგი, როგორც ღვთის ჩანაფიქრი, მთელ ქმნილებას მოიცავს. ეს შეიძლება ისე გავიგოთ, რომ სამყაროა და ღმერთს შორის უფსკრული არ არის, რომ აბსოლუტი და მისი ქმნილება ერთმანეთში გადადიან. ამის შედეგად ვიღებთ, რომ აზრისგან, ზეციური სოფიისაგან, რომელიც ღმერთშია, ჩნდება სამყარს სულიერი საწყისი, ხოლო მისგან – სამყარო.“[42]

ბულგაკოვისთვის პლატონთან ეროსის დოქტრინა კი გამოხატავს, მაგრამ ვერ სრულყოფს ორ სოფიას შორის არსებული კავში-

[41] Regula M . Zwahlen, Sergei Bulgakov's Intellectual Journey (1900-1922), in: The Oxford Handbook of Russian Religious Thought, ed. by Caryl Emerson, George Pattison, Randall Poole (Oxford University Press, 2020), 286.

[42] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 180.

რის სურვილს. ამ პრობლემის დასაძლევად თეოლოგი განკაცების თეოლოგიას იყენებს. ბულგაკოვის აზრით, ქრისტიანმა იცის, რომ ამ ყოველივეს შემაკავშირებელი რამ არის ქრისტე, განკაცებული ლოგოსი, რომლის სხეულიც არის ეკლესია – ზეციური სოფია.[43] აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ალექსანდრ მენი შენიშნავს, „პირველად ბულგაკოვს შემოაქვს ტერმინი „გაადამიანურება". მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ ამ ტერმინს გამოიყენებს ტეიარ დე შარდენი: ჰომინიზაცია, ბუნების გაადამიანურება, გასულიერება."[44]

1930 წელს, ბულგაკოვის თეოლოგია და განსაკუთებით სოფიას (საღვთო სიბრძნე) როლი მის ნაშრომებსა და ნააზრევში დავის საგანი გახდა. აღსანიშნავია რომ მიუხედავად ამ პერიოდში რუსული რელიგიურ წრეებში არსებული ძალიან მძიმე დაპირისპირებისა, თითქმის ყველა ჯგუფმა მოახერხა ბულგაკოვის სწავლებების წინააღმდეგ გაერთიანება. შესაბამისად, იგი დაიგმო როგორც მოსკოვის საპატრიარქოს, ასევე, საზღვარგარეთ არსებული საეკლესიო ერთეულების მიერ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიტროპოლიტი ევლოგი ბულგაკოვის გვერდით იდგა. 1935 წელს, მოსკოვის საპატრიარქოსა და ემიგრაციული სინოდის მიერ ბულგაკოვის სოფიოლოგია, როგორც ერეტიკული რამ, ისე დაიგმო. მიტროპოლიტმა ევლოგიმ, იმის მიუხედავად, რომ მისთვის ბულგაკოვი მეგობარი, თანამშრომელი და წმინდა სერგის ინსტიტუტის კაშკაშა ვარსკვლავი იყო, მაინც ვერ შეძლო დაეცვა იგი. ბულგაკოვს ოპონენტები უშუალოდ წმინდა სერგის თეოლოგიურ ინსტიტუტშიც გამოუჩნდნენ. ამ სასწავლებელში მისი უმთავრესი ოპონენტი გიორგი ფლოროვსკი იყო.[45] ბულგაკოვის სოფიოლო-

[43] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 264.

[44] ალექსანდრე მენი, რუსული რელიგიური ფილოსოფია (ლექციები), რუსულიდან თარგმნა კახა ქეცბაიამ, გამომცემლობა Carpe diem, თბილისი 2015, 174.

[45] სოფიოლოგიასთან დაკავშირებით, წინამდებარე სტატიაში გადმოცემული ინფორმაცია, გარკვეულწილად, გამოყენებული გვაქვს ჩვენს სხვა სტატიაშიც, იხ: Guram Lursmanashvili, Fr. Georges Florovsky, his perception of St Gregory

გიას მძაფრად ეწინააღმდეგებოდა იმ პერიოდში პარიზში მოღვაწე ვლადიმერ ლოსკი (ცნობილი ფილოსოფოსის ნიკოლაი ლოსკის ვაჟი). ყოველივეს მიუხედავად, ბულგაკოვი სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა თავისი სოფიოლოგიური იდეების ერთგულად.[46]

იმის მიუხედავად, რომ ბულგაკოვის სოფიოლოგიურმა სწავლებებმა ძირითადად უარყოფითი შეფასებები დაიმსახურა, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ მისი გაბედული და უშიშარი ხასიათი, რომლის დამსახურებითაც თანამედროვე მართლმადიდებლურ თეოლოგიაში ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა და რაც ძალიან სერიოზული დისკუსიისა და მსჯელობის საგანი გახდა. ეპისკოპოსი კასიანე მართებულად შენიშნავს, რომ „მისი [ბულგაკოვის] სოფიოლოგიური დოქტრინები უნივერსალური მიღებისგან შორს არის. მას თავადაც არ ჰქონდა საბოლოო ფორმულირებების პოვნის პრეტენზია. მისი მთავარი დამსახურება იყო, რომ წამოწია პრობლემა და იგი მომავალ თაობებს დაუტოვა.“[47]

სოფიოლოგიასთან საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ბულგაკოვის **ეკლესიოლოგიაც.** ბულგაკოვის თანახმად, რამდენადაც ეკლესია თავის თავს ორი ასპექტის (ღვთაებრივი და ქმნილი სოფიის) მეშვეობით გამოხატავს, შესაბამისად, ეკლესიაც ორი განსხვავებული ნიშნით ხასიათდება. პირველია „ემპირიული“ ეკლესია, ე.ი. ის სახე, რომელსაც ეკლესია განუცხადებს მორწმუნეთა ლოკალურ თემს და „მისტიკური“ ეკლესია, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ ადგილობრივ ეკლესიათა გაერთიანების მიღმა მყოფ სუბსტანციურ ერთობას. თავის მისტიკურ განზომილებაში ეკ-

Palamas and the influence of Fr. Sergius Bulgakov. ΘΕΟΛΟΓΙΚΕΣ ΠΑΡΕΜΒΑΣΕΙΣ 7, St Gregory Palamas and Hesychasm Past and contemporary challenges and perspectives Edited by A. P. Zachariou, Ἱερὰ Μητρόπολις Τριμυθοῦντος Ἰδάλιο – Κύπρος 2024, 259-270.

[46] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 287-288.

[47] Lowrie, Donald Alexander, Saint Sergius in Paris: the Orthodox Theological Institute, New York 1954, 63.

ლესია „ქრისტეს უნივერსალური სხეული და სულიწმინდის ტაძარია“, სადაც არსებული ქრისტოლოგიური და პნევმატოლოგიური პრინციპების შეკავშირება „კათოლიკობას“ (sobornost) ქმნის. ამ მიდგომით ბულგაკოვი ემხრობა ე.წ. *ფენომენოლოგიურ* (ხილულ, ემპირიულ, ისტორიულ) და *ნუმენალურ* (მეტა-ისტორიულ, ღმერთკაცობრივ) ეკლესიას შორის განსხვავებას.[48]

სოფიოლოგიის გარდა საყურადღებოა, რომ ბულგაკოვი საკმაოდ საინტერესოდ მსჯელობდა **აპოფატიკური** და **კატაფატიკური** ღვთისმეტყველების შესახებაც. თავისი ნააშრომი – *მიუაჩრდილებელი ნათელი* უმთავრესად ორი ტიპის თეოლოგიის განსხვავებას ეხება, სახელდობრ – ნეგატიური (აპოფატიკური) თეოლოგიისა და პოზიტიური (კატაფატიკური) თეოლოგიის. ბულგაკოვი ამ ნაშრომში უმთავრესად პოზიტიურ თეოლოგიაზე საუბრობს.[49] ბულგაკოვის აზრით, ქალკედონის ოროსი მთავარ ყურადღებას ამახვილებს იმაზე თუ რა არ შეიძლება რომ ითქვას ქრისტეს შესახებ, მაგრამ „ორი ბუნების [ქრისტეში] პოზიტიურ ურთიერთობაზე, დოგმა დუმს.“[50] ბულგაკოვის თანახმად, „ქალკედონის კრების უარყოფითი ფორმულა არ შეიძლება [...] გაიგებოდეს, როგორც პოზიტიური განსაზღვრებების აკრძალვა, არამედ მხოლოდ როგორც წინასწარი განსაზღვრება, არასრული, არა ამომწურავი და განგრძობითობის მომლოდინე.“[51]

---

[48] Robert F. Slesinski, Sergius Bulgakov in Exile: The Flowering of a Systematic Theologian. The Oxford Handbook of Russian Religious Thought, Caryl Emerson (ed.), Oxford 2020, 480-494, 490.

[49] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key. William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 269.

[50] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 397.

[51] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 300.

„პოზიტიური ქალკედონიანიზმისადმი“ ბულგაკოვის მოწოდება, ამჟღავნებს კავშირს განკაცების კლასიკურ დოქტრინასა და ღვთის ადამიანურობის სოლოვიევისეულ იდეას შორის. ღვთის ადამიანურობა განკაცების დოქტრინის ისეთი გააზრებაა, რომელიც პოზიტიური რელიგიური იდეალის ფორმითაა ჩამოყალიბებული. პოლ ვალერის აზრით, „იმის მიუხედავად, რომ ეს სწავლება მამებთან არ მოიძებნება, იგი მაინც შეიძლება, რომ ტრადიციულად მიიჩნეოდეს, რამდენადაც პატივს სცემს, ამოწმებს და ანვრცობს კლასიკურ დოქტრინას.“[52]

დასკვნა

მიუხედავად სერგი ბულგაკოვის რთული პიროვნული, სამეცნიერო და კვლევითი გზისა, პირდაპირ შეიძლება იმის თქმა, რომ მისი გავლენა თანამედროვე მართლმადიდებლურ თეოლოგიაზე განუზომელია და მეოცე საუკუნის სხვა არცერთ თეოლოგს არ დაუტოვებია მისი მსგავსი კვალი. გარკვეულწილად, იგი შეიძლება ქრისტიანობის დიდ ავტორს – ორიგენეს შევადაროთ. მეოცე საუკუნის მოცემულობიდან გამომდინარე, მას ჰქონდა ძალიან ფართო განათლება, ერუდიცია და ინფორმაცია, რომლის გაზიარებასაც ყოველთვის ესწრაფვოდა სხვებისათვის. იგი, ძალიან ხშირად, ეხებოდა ისეთ საკითხებს, რომელზე შეხებასაც სხვები ვერ ბედავდნენ. ბულგაკოვს, მისი გაბედული ხასიათი საშუალებას აძლევდა, რომ მხოლოდ კი არ შეხებოდა ამა თუ იმ სწავლებას, არამედ ჩამოეყალიბებინა მწყობრი მსჯელობა და ამ იდეების ერთგულადვე დარჩენილიყო, იმის მიუხედავად, თუ საით გადაიხრებოდა საეკლესიო ინტელექტუალთა და ოფიციოზის მეინსტრიმი. ბულგაკოვის არაჩვეულებრივი ხასიათი და ცოდნის გაზიარების სურვილი

[52] Paul Valliere, Modern Russian Theology. Bukharev, Soloviev, Bulgakov. Orthodox Theology in a New Key, William B. Eerdmans Publishing Company Grand Rapids, Michigan 2000, 298.

განაპირობებდა იმას, რომ მისი იდეებისადმი რადიკალურად განწყობილი მოაზროვნეებიც კი, სიცოცხლის ბოლომდე მისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ და ცდილობდნენ, რომ მასთან კავშირები არ გაეწყვიტათ. და ბოლოს, ორიგენეს მსგავსად, როდესაც მისი სწავლებების რეცეფციის დრო მოვიდა, ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულმა ჯგუფებმაც კი მოახერხეს მისი სწავლებების წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ და ერთმნიშნელოვნად დაეგმოთ ისინი, თუმცა, ამან ვერ შეცვალა სერგი ბულგაკოვის გავლენა მეოცე საუკუნის მართლმადიდებელ თეოლოგებსა და მათ მიერ შექმნილ თეოლოგიაზე.

SERGEI BULGAKOV – AS PERSON AND THEOLOGIAN

Guram Lursmanashvili

Sulkhan-Saba Orbeliani University Affiliated Assistant Professor,
Lecturer of Modern Orthodox Theology and Political Theology,
g.lursmanashvili@sabauni.edu.ge, https://orcid.org/0000-0001-6906-8503

There was no celebration in Georgia regarding Sergey Bulgakov's birth in 1971. This article aims to encourage his contribution to future generations and properly assess his merit." Despite the problematic personal, scientific, or research path of Sergei Bulgakov, it is undoubtedly that his influence on modern Orthodox theology is immeasurable, and no other theologian of the twentieth century has left a similar mark.

Bulgakov's extraordinary character and desire to share knowledge meant that even thinkers who were radical towards his ideas respected him until the end of his life and tried not to break ties with him. Finally, like Origen, when the time came for the reception of his teachings, even groups that were radically opposed to each other managed to unite against his teachings and unequivocally condemn them; however, this did not change the influence of Sergei Bulgakov on twentieth-century Orthodox theologians and the theology they created.

Keywords: Sergey Bulgakov, Theology, Orthodox.